

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel “Captain O.Chakhvadze”

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის, და იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**




**სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის N (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17	27.07.2021	დებულება განახლდა ახალი სტრუქტურული სქემის და სამტატო განრიგის შესაბამისად	რუსუდან დიასამიძე 
2017 წლის 24 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N20; (სასწავლებლის შიდა ნორმატიული დოკუმენტების განახლება ISO 9001:2015 შესაბამისად); 2018 წლის 26 იანვრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N3; 2018 წლის 26 იანვრის ცვლილებების ცირკულარული წერილი N 2	26.01.2018	ნდ 2-010124 „მცურავი საშუალების სასწავლო გემი „კაპიტან ო. ჩახვაძის“ დებულება / Regulation for Seagoing facility (training vessel "Captain Otar Chakhvadze")“ 17.04.2015წ. დამტკიცებული ვერსია N3 განახლდა ვერსია N4 (26.01.2018) დებულებაში არ მოხდა შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა, შეცვლილია მხოლოდ სასწავლებლის დასახელება (გენერალური დირექტორის 2016 წლის 31 ოქტომბრის N 115 ბრძანების საფუძველი სასწავლებლის დასახელება არ აღინიშნება ბრჭყალებში) და ISO 9001:2008 ნაცვლად აღნიშნულია ISO 9001:2015 შესაბამისობა	რუსუდან დიასამიძე 
2015 წლის 17 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N11; 2015 წლის 15 აპრილის ცვლილებების ცირკულარული წერილი N 5	17.04.2015	განახლებული ვერსია N3 დამტკიცებულია 2015 წლის 17 აპრილით. დებულების ახალ ვერსიაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: დამფუძნებელთა საბჭოსთან არსებული სათათბირო ორგანო-პედაგოგიური საბჭოს 2014 წლის 01 ივლისის ჩატარებული სხდომის ოქმი N17, პირველი საკითხის დადგენილების, 2014 წლის 01 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N63-ის გათვალისწინებით შეცვლილია სასწავლებლის სახელწოდება და ლოგო; პროცედურაში ჩამატებულია პუნქტი 6.1.2-ის 38-ე ქვეპუნქტი, 6.2.2-ის 19-ე ქვეპუნქტი, სადაც გაწერილია, რომ გემის მეთაურთა შემადგენლობა (კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი) ვალდებულია აწარმოოს გემზე არსებული დანადგარების შემოწმება, გააკონტროლოს სხვა კომპეტენტური კომპანიის/ორგანიზაციის მიერ დროულად სავალდებულო შემოწმებების ჩატარება; ამ მიზნით უნდა იყოს შედგენილი შემოწმების გეგმა- გრაფიკები, რაც მოითხოვება ნდ 0201-12-ით.	რუსუდან დიასამიძე 

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი




სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel “Captain O.Chakhvadze”

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება	6
5. სასწავლო გემის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები	7
6. სასწავლო გემის ეკიპაჟის წევრების თანამდებობრივი ინსტრუქციები	7
6.1 კაპიტანი	7
6.2 უფროსი მექანიკოსი	9
6.3 ბოცმანი	10
6.4 სხვა წევრები	10
7. რესურსები	11
8. შემოწმება, კონტროლი	11
9. კინფედენციალურობა	11
10. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი	12
11. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი	13
12. შეთანხმების ფურცელი	14

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება ადგენს შპს ბუსსს ანრის სასწავლო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“-ის ფუნქციონალურ თანმიმდევრობას და ვრცელდება გემზე დანიშნულ თანამშრომლებზე/ეკიპაჟის წევრებზე);
- 2) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია) და სასწავლო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“-ზე (ელექტრონული ვერსია).
- 3) წინამდებარე დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:


- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ , ცვლილებებით;
- 4) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- 5) საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 6) შს-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
- 7) ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
- 8) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 9) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი**, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **დებულება** - განყოფილების სტატუსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განყოფილების მუშაობის მიმართულებები და ფუნქციები, უფროსის და თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების თანდართვით.
4. **ხარისხის სამსახური**– შპს ბუსსს ანრის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და საწვრთნელი პროცესების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე შპს ბუსსს ანრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ისო 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად დამთავრებისას;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

5. თანამდებობრივი ინსტრუქცია - კვალიფიკაციის, ვალდებულებების, უფლებების და პასუხისმგებლობების დამდგენი ნორმატიული დოკუმენტი, იმ პირისათვის რომელიც დანიშნულია გარკვეულ თანამდებობაზე.
6. ცვლილება - მოდიფიკაცია, ნორმატიულ დოკუმენტში რაიმეს დამატება, ან მისთვის რაიმე ფრაგმენტის გამოკლება.
7. აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააგნია არრიცხული ეგზემპლარის ნომერი - აღრიცხული ეგზემპლარის სიის მოხედვით.
8. დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი - განსაზღვრული ქვედანაყოფის, აღრიცხული ეგზემპლარის ნომრის მქონე ეგზემპლარი, რომელსაც გააგნია გრიფი „საკონტროლო ეგზემპლარი“ და შეიცავს ყველა არსებულ ცვლილებას.
9. კონფიდენციალურობა - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით. კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტური აქტებით.


3.2 შემოკლებები

1. შპს ბუსსს ანრი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც სასწავლებელი)
2. სასწავლო გემი - შპს ბუსსს ანრის კუთვნილი სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
3. IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
4. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
5. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა

4. ზოგადი დებულება

1. სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“ არის შპს ბუსსს ანრის საკუთრებაში მყოფი გემი, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების საცურაო პრაქტიკით უზრუნველყოფა და საწვრთნელი კურსების პრაქტიკული წვრთნების ჩატარება.
2. სასწავლო გემს ხელმძღვანელობს გემის კაპიტანი (შემდგომში კაპიტანი), რომელიც თავის საქმიანობას ასრულებს არსებული დებულების, ფუნქციონალური მოვალეობების და შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად:
 - ✓ შპს ბუსსს ანრის წესდება;
 - ✓ საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“
 - ✓ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 - ✓ SOLAS - ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო კონვენცია;
 - ✓ STCW - საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის შესახებ“ ცვლილებებით;
 - ✓ COLREG - ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები;
 - ✓ MARPOL – გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილება და სხვა
3. სასწავლო გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში შედის კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი, ბოცმანი, მატროსი, მოტორისტი, რომლებიც სასწავლო გემის მოვლის გარდა ჩართულნი არიან სასწავლო, საწარმოო და პრაქტიკულ წვრთნებში პროფესიული სტუდენტებისა და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელებისათვის.
4. სასწავლო გემის ეკიპაჟის შემადგენლობას ნიშნავს და ათავისუფლებს შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვადზე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

5. სასწავლო გემზე შესაბამისი ხელშეკრულების და გენერალური დირექტორის განკარგულების საფუძველზე პრაქტიკული მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს სხვა საზღვაო დაწესებულებების სტუდენტებს და მსმენელებს.

5. სასწავლო გემის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები

1. კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სამუშაოების შესრულება;
2. შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა საცურაო, საწარმოო პრაქტიკით;
3. შპს ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელებისათვის ზოგიერთი საწვრთნელი კურსის პრაქტიკული ნაწილის ჩატარება;
4. გემის მუდმივ მზადყოფნა ყველა სახის სამუშაოებისათვის;
5. პრაქტიკულ გასვლები ღია ზღვაში;
6. ორგანიზებას უწევს წყლის, სახანძრო წყლის, მთავარი ძრავის და დამხმარე მექანიზმების შემადგენელი ნაწილების, დამხმარე მექანიზმების დამხმარე სისტემების (შეზეთვის სისტემა, საწვავის სისტემა, ზღვის და მტკნარი წყლის სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა მისი დანადგარებით, ელექტროგაყვანილობის სისტემა) შემოწმებას.

6. სასწავლო გემის თანამშრომლების (ეკიპაჟის წევრების) თანამდებობრივი ინსტრუქციები

6.1 სასწავლო გემის ხელმძღვანელი (კაპიტანი)

6.1.1 ზოგადი დებულება


1. სასწავლო გემს ხელმძღვანელობს გემის კაპიტანი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ;
2. კაპიტანს უნდა ჰქონდეს საზღვაო განათლება, გემის მეთაურთა შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
3. კაპიტანი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გემის წესდებით, წინამდებარე დებულებით, გემის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტებით, სასწავლებლის ბრძანებებით, საზღვაო კოდექსებით, საერთაშორისო კონვენციებითა და ეროვნული კანონებით.
4. კაპიტანი წარმოადგენს გემის ეკიპაჟის ხელმძღვანელს, ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც პასუხს აგებს გემის უვნებლობაზე, გემზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოებაზე .

6.1.2 კაპიტანის ვალდებულებები

კაპიტანი ვალდებულია უზრუნველყოს:

- 1) მეზღვაურის პრესტიჟისა და ღირსების შენარჩუნება;
- 2) გემზე კანონების და სხვა საჭირო საკანონმდებლო აქტების, საერთაშორისო და ეროვნული კონვენციებისა და შეთანხმებების არსებობა;
- 3) გემზე რეგისტრის წესდებების, ბრძანებების, გემის, ეკიპაჟის, ტვირთის, საწარმოო მოდვაწეობის და ტექნიკური ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
- 4) გემის სარეისო დავალებებისა და რენტაბელური მუშაობის დავალების შესრულება;
- 5) გემზე მუშაობის დისციპლინისა და სამუშაო პროცესის ორგანიზების დაცვა;
- 6) გემის მუშაობის პროცესის კონფედენციალურობის დაცვა, ორგანიზება და კონტროლი;
- 7) ეკიპაჟის მომზადება გემის სიცოცხლის უნარიანობისათვის ბრძოლასა და ზღვაზე ადამიანის გადარჩენისათვის;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი




სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვადზე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel “Captain O.Chakhvadze”

- 8) გემის განრიგის შემოწმება და დამტკიცება;
- 9) ორგანიზება ეკიპაჟის მუშაობისა და დასვენების რეჟიმი, შრომის კანონმდებლობისა და გემზე არსებული სამუშაო საათების, დასვენების პროცედურის შესაბამისად;
- 10) ეკიპაჟისთვის ტექნიკურ სწავლების ორგანიზება და კონტროლი;
- 11) გადასცეს ეკიპაჟის წევრებს თავისი ცოდნა და გამოცდილება;
- 12) გემზე მყოფი პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობა;
- 13) გემისა და მისი ტექნიკური საშუალებების თავისდროული წარდგენა შესამოწმებლად რეგისტრის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 14) საჭირო ჟურნალებისა და დოკუმენტების მართებული წარმართვის კონტროლი;
- 15) გარემოს დაჭუჭყიანების თავიდან აცილების მოქმედი კანონების შესრულება;
- 16) სასწავლებლის პრაქტიკის განყოფილების უფროსსა და სასწავლო განყოფილების უფროსის შეთანხმებით დააკომპლექტოს გემზე სასწავლო ჯგუფები;
- 17) ორგანიზება გაუწიოს ინსტრუქტორების საქმიანობის მეთოდურ შემოწმებას მთელი სწავლის პერიოდში;
- 18) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები საჭირო დოკუმენტებით;
- 19) შეამოწმოს გემზე სწავლისათვის საჭირო წიგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების დაცულობა და ხელმისაწვდომობა;
- 20) შეამოწმოს სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობების კონსპექტები, მათი შესაბამისობა სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან;
- 21) შეამოწმოს გემის უზრუნველყოფა ყველა საჭირო მოწყობილობებით, მასალებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით;
- 22) შეამოწმოს ჟურნალში ჩანაწერების შესაბამისობა სასწავლო პროგრამებთან და კალენდარულ გეგმებთან;
- 23) გაუწიოს ყოველდღიური დახმარება პროფესიულ სტუდენტებს მეცადინეობების ხარისხიანად ჩატარების მიზნით;
- 24) აწარმოოს ნებისმიერი პრობლემის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია, რომელიც ეხება გასაწევ მომსახურებას, შესასრულებელ სამუშაოებს და ხარისხის მენეჯმენტის სისტემას;
- 25) განახორციელოს მოქმედებები მანამ, სანამ აღმოჩენილი შეუსაბამობა არ იქნება გამოსწორებული;
- 26) ორგანიზება გაუწიოს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის, საწარმოო სანიტარიის ინსტრუქტაჟის ჩატარებას;
- 27) ორგანიზება გაუწიოს გემთწამყვანებისათვის გემის აგებულების, ნავიგაციის და ლოჯის, გემის ელექტრონავიგაციური ხელსაწყოების, საერთო ელექტროგაყვანილობის პრინციპიალური სქემის შესწავლას;
- 28) ასწავლოს გემის მომზადება ზღვაში გასვლის წინ და მობრუნებისას ნავმისადგომთან უსაფრთხოდ დაყენება და ნავმისადგომზე მიბმა;
- 29) ორგანიზება გაუწიოს მექანიკოსებისთვის სამანქანო განყოფილებაში მექანიზმების, სისტემების, მთავარი და დამხმარე მექანიზმების მომსახურების შესწავლას;
- 30) დაადგინოს ვახტაზე დგომის წესები, ვახტის მიღებისა და ჩაბარების განრიგი;
- 31) აწარმოოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დოკუმენტირება, მათ შორის დადგენილი რეჟიმიდან გარკვეული მიზეზების გამო გადახვევა;
- 32) გემზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ აცნობოს ხარისხის სამსახურს, ხოლო ყოველი წლის ნოებრის ბოლოს წარუდგინოს წლიური ანგარიშსწორება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვადზე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

კაპიტნის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვრცელად განსაზღვრულია 2-010201/35 ფუნქციონალურ მოვალეობებში.

6.2 უფროსი მექანიკოსის უფლება-მოვალეობები


6.2.1 ზოგადი დებულებები

1. სასწავლო გემის უფროსი მექანიკოსის თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ;
2. უნდა ჰქონდეს საზღვაო განათლება და მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
3. უნდა ჰქონდეს სწავლების და მოსამზადებელი სპეციალისტების კომპეტენტურობის შეფასების პრაქტიკული გამოცდილება.
4. უფროსი მექანიკოსი წარმოადგენს კაპიტნის მოადგილეს გემის ტექნიკური ექსპლუატაციის მხრივ, პასუხისმგებელია გემის კორპუსისა და გემის ტექნიკური
5. საშუალებების ტექნიკური მდგომარეობაზე.
6. უფროსი მექანიკოსის მითითებები გემის ტექნიკური ექსპლუატაციის შესახებ წარმოადგენს აუცილებელს მთელი ეკიპაჟისათვის.

6.2.2 ვალდებულებები

- 1) გემის კორპუსისა და ტექნიკური საშუალებების ხელმძღვანელობა მკაცრად საზღვაო ფლოტის ტექნიკური ექსპლუატაციის, გემის ტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, ინსტრუქციების და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად;
- 2) უსაფრთხოების წესების, ინსტრუქციებისა და ბრძანებების დაცვა;
- 3) გემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების დაგეგმვა;
- 4) უზრუნველყოს მექანიკური დანადგარების მომსახურების მორიგეობა და პასუხი აგოს ყველა ტექნიკური საშუალებების ტექნიკურ ექსპლუატაციაზე;
- 5) პასუხისმგებელია მასზე დაქვემდებარებული პირების უსაფრთხოების ცოდნაზე;
- 6) უზრუნველყოს სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლისა და ხანძარსაწინააღმდეგო სწავლებების. სახანძრო და საქცევი ტუმბოების და სისტემების, მუდმივი მზადყოფნა მოქმედებისათვის;
- 7) ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა სამანქანო განყოფილებების ყველა სათავსოებში. მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ეკიპაჟის წევრის გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლაში. გემის განგაშის გამოცხადებისას სამანქანო განყოფილებაში სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლის მოქმედების ხელმძღვანელობა;
- 8) კაპიტნის გაფრთხილების შემდეგ, თავისდროულად წარუდგინოს გემი და ტექნიკური საშუალებები რეგისტრსა და ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენლებს შემოწმების დროს;
- 9) სარემონტო უწყისების თავისდროული შედგენა, სამუშაოს შესრულების კონტროლი;
- 10) სამანქანო განყოფილების ქონების, ინვენტარის, შემცვლელი ნაწილების თავისდროული მომარაგება, ყოველივე ამის შენახვის, მექანიკური დანადგარებისათვის საწვავის, წყლისა და ზეთის ხარჯვის კონტროლი;
- 11) ნავსადგომში შესვლის, გამოსვლისა და მიბმის ოპერაციების დროს მექანიკური დანადგარები მართვისპირადი ხელმძღვანელობა. აღნიშნულ შემთხვევებში უფროსი მექანიკოსს უფლება აქვს დატოვოს სამანქანო განყოფილება მხოლოდ კაპიტნის ნებართვის შემდეგ, მის ნაცვლად მე-2 მექანიკოსის დატოვებით;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

- 12) კაპიტანის ყველა განკარგულების შესრულება, თუ კი გაცემულ განკარგულებას შეუძლია მიაყენო ზიანი ტექნიკურ საშუალებებს, უფროსი მექანიკოსი ვალდებულია გააფრთხილოს მოსალოდნელი შედეგების შესახებ და იმოქმედოს შემდგომ გაცემული განკარგულების მიხედვით;
- 13) ტექნიკური სწავლების ჩატარების დაგეგმვა;
- 14) გემის რეისში გასვლის წინ უფროსმა მექანიკოსმა უნდა შეამოწმოს მექანიკური დანადგარების მზადყოფნა და გადასვლამდე 15 წუთით ადრე მოახსენოს მზადყოფნის შესახებ კაპიტანს;
- 15) ჩაატაროს სასწავლო ჯგუფების თეორიული და პრაქტიკული სწავლება დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად;
- 16) მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ სტუდენტების მომზადების ხარისხის გაზრდის ღონისძიებების დამუშავებასა და განხორციელებაში;
- 17) შეასრულოს შპს ბუსსს ანრის მცურავი საშუალების სასწავლო გემის „კაპიტან ო.ჩახვაძის“ დებულებით მისთვის გათვალისწინებული სამუშაოები

უფროსი მექანიკოსის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვრცლად განსაზღვრულია [2-010201/36](#) ფუნქციონალურ მოვალეობებში.

6.3 ბოცმანის უფლება-მოვალეობები


6.3.1 ზოგადი დებულებები

1. სასწავლო გემის ბოცმანი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ;
2. უნდა ჰქონდეს საზღვაო განათლება და მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
3. უნდა ჰქონდეს სწავლების და მოსამზადებელი სპეციალისტების კომპეტენტურობის შეფასების პრაქტიკული გამოცდილება.
4. ბოცმანი ემორჩილება უფროს მექანიკოსს და წარმოადგენს გემის კორპუსის ნაწილზე ჩატარებული სამუშაოების ხელმძღვანელს.
5. გემის რეისისთვის მომზადების დროს და რთულ სიტუაციებში ნაოსნობისას ბოცმანი გადადის კაპიტანის უფროსი თანაშემწის განკარგულები ქვეშ.

6.3.2 ვალდებულებები

- 1) შეადგინოს გემის კორპუსზე სამუშაოების ჩატარების გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად უფროს მექანიკოსს;
- 2) უფროს მექანიკოსთან და უფროს თანაშემწესთან ან კაპიტანთან შეთანხმებით მის დაქვემდებარებაში მყოფი ეკიპაჟის წევრები გადაანაწილოს, სამუშაოებზე და მორიგეობებზე, აკონტროლოს მათი სამუშაო დრო და საათები;
- 3) შეასრულოს ტექნიკის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები, მოითხოვოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ეკიპაჟის წევრებისაგან ამ ინსტრუქციების და წესების შესრულება და უზრუნველყოს მათი მუშაობის უსაფრთხოება;
- 4) უხელმძღვანელოს გემის ეკიპაჟის წევრების მიერ ჩატარებულ სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს გემის კორპუსზე;
- 5) უზრუნველყოს ტრიუმებისა და სატვირთო კომპლექსის მომზადება სატვირთო ოპერაციებისათვის, მონაწილეობა მიიღოს მძიმე წონიანი და მაღალგაბარიტული ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვაში;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

- 6) უზრუნველყოს გემის კოპუსის მომზადება რეისში გასვლისათვის, შტორმულ პირობებში ნაოსნობისათვის, ტვირთის, მოწყობილობების დამაგრება, აკონტროლოს ტვირთის დამაგრება ხმელეთის სპეციალისტების მიერ და მოახსენოს მორიგე თანაშემწეს;
- 7) გემის ნავსადგურში მისვლის წინ უზრუნველყოს ტრაპების, ჯალამბრების გამართულობის შემოწმება, ამისათვის საჭირო პირების გამოყენებით;
- 8) უზრუნველყოს ავარიული და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების, კოლექტიური და ინდივიდუალური მოხმარების სამაშველო საშუალებების ჩამშვები მოწყობილობების მომარაგება და მზადყოფნა მოქმედებისათვის;
- 9) უზრუნველყოს ღუზის ჯაჭვის, ბლოკების, კაკვების, ჯაჭვების და კორპუსის სხვა ტაკელაჟური საშუალებების თავისდროული შემოწმება და გამოცდა;
- 10) მოამზადოს მასალები სარემონტო სამუშაოების უწყისების შესადგენად, აკონტროლოს ხმელეთის სპეციალისტების მიერ კორპუსზე ჩასატარებელი სამუშაოების ხარისხი;
- 11) უზრუნველყოს სისუფთავე და წესრიგი გემბანზე, სათავსოებში და სასადილოში;
- 12) გემზე ახლად ასულ პირებს გააცნოს სამაშველო საშუალებების, ავარიული და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და აუხსნას მათი მოხმარების წესები;
- 13) ჩაატაროს სასწავლო ჯგუფების თეორიული და პრაქტიკული სწავლება დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად;
- 14) მონაწილეობა მიიღოს მომზადების ხარისხის გაზრდის ღონისძიებების დამუშავებასა და განხორციელებაში;
- 15) შეასრულოს დებულებით მისთვის გათვალისწინებული სამუშაოები

უფროსი მექანიკოსის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვრცლად განსაზღვრულია **2-010201/37** ფუნქციონალურ მოვალეობებში.

6.4 სასწავლო გემის ეკიპაჟის რიგითი შემადგენლობის (მატროსი, მოტორისტი) წევრების უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვრცლად განსაზღვრულია **2-010201/38, 2-010201/39** ფუნქციონალურ მოვალეობებში.

7. რესურსები

არსებული დებულების მოქმედებაში მოყანისათვის საჭიროა შემდეგი რესურსები:


1. სასწავლო გემის ტექნიკური შემოწმების გეგმა;
2. მატერიალური, ლიტერატურული რესურსები
3. ფინანსური რესურსები
4. კვალიფიცირებული პერსონალი

8. შემოწმება და კონტროლი

არსებული დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სასწავლო გემის კაპიტანი და სასწავლო განყოფილების უფროსი. დებულების პერიოდული შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტის დროს.

9. კონფიდენციალურობა

დებულება წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
 მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

10. დებულების პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი




სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
 მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel “Captain O.Chakhvadze”

11. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ლია ფარტენაძე	განათლების ხარისხის სპეციალისტი	04.08.2021		
2	ალიკო ბარამიძე	სასწავლო გემის კაპიტანი	04.08.2021		
3	ბადრი გიორგაძე	სასწავლო გემის უფროსი მექანიკოსი	04.08.2021		
4	ილია ნიქაბაძე	პიარ-მენეჯერი	04.08.2021		
5	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო განყოფილების უფროსი	04.08.2021		
6	მაია დავითიანი	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი	04.08.2021		
7	ირაკლი ბეჟანიძე	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	04.08.2021		
8	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოტეკის უფროსი	04.08.2021		
9	ანა მუშაძე	პრაქტიკის სპეციალისტი	04.08.2021		
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

12. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე“
მცურავი საშუალების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for training vessel "Captain O.Chakhvadze"

ნდ N-2-010124

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე;
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე;

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი აკაკი ესანჯია				
2	დეკანი გურამ ქათამაძე				
3	პრაქტიკის განყოფილების უფროსი ომარ დიასამიძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ ხელმოწერა _____ გვარი, სახელი _____ თარიღი